განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნეს ანალიტიკა, საბაკალავრო საფეხური

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი
6 დეკემბერი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნეს ანალიტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413.1.2 ბიზნესის ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	მიხეილ რუხაია, ივანე ჯავახიშვილის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი, სააქციო საზოგადოება ,,გაერთიანებული ლოჯისტიკური კომპანია", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ჯანხოთელი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილია ახალი საბაკალავრო პროგრამა ,,ბიზნეს ანალიტიკა", რომელიც 240 ECTS-ს მოიცავს. პროგრამაში 198 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის ძირითად საგნებს, საიდანაც საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში 30 ECTS კრედიტის სახით არის წარმოდგენილი; არჩევითი სასწავლო კურსები 42 ECTS კრედიტს მოიცავს.
საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 35 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: 15 აკადემიური (მათ შორის 5 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი) და 20 მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამაში სულ სავალდებულო საგნების რაოდენობაა 29, რომლიდანაც 20 სავალდებულო საგანს უძღვება 14 მოწვეული ლექტორი, ხოლო დანარჩენ 9 სავალდებულო საგანს უძღვება 3 აფილირებული პროფესორი და 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი.
პროგრამა გადამუშავდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 25 ნოემბერს (ოქმი N 09/21). შპს საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N51/20 ოქმით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დებულების" და „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის" საფუძველზე.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.
პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის საფუძველზე მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს. შეფასებამდე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენილის მიერ დაორგანიზდა ექსპერტთა ჯგუფის ორი წინასააკრედიტაციო დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი, დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები.

ვიზიტის დასაწყისში უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა. ვიზიტს პროცესშიც გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები. მათ შორის:

- მომიჯნავე სპეციალობის 3 სხვადასხვა (მაღალი, საშუალო, დაბალი) შეფასების საბაკალავრო ნაშრომი;
- მომიჯნავე სპეციალობის 3 სხვადასხვა(მაღალი, საშუალო, დაბალი) შეფასების პრაქტიკის ანგარიში;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ ანგარიში;
- პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა;
- ბიბლიოთეკის მიერ წიგნების ბოლო შენაძენის ინვოისი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახუის კვლევები(მომიჯნავე პროგრამების მიხედვით):
- თვითშეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, ხარისხის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშები;
- უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტრენინგების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშები;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასების ანგარიშები;
- პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები;
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშებით.
- მომიჯნავე სფეროებში სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა შევსებული;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაზე უნივერსიტეტის რეაგირების ანგარიში (არსებობის შემთხვევაში).
- მომიჯნავე სფეროებში გაცვლითი პროგრამაზე მომაწილე სტუდენტთა სტატისტიკა; მომიჯნავე სფეროებში ჩატარებული კომფერენციების, საერთაშორისო ღონისძიებების, პროექტების სტატისტიკა ბოლო წლის;

- მომიჯნავე სფეროებში სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათების განრიგი;
- უნივერსიტეტში განხორციელებული კულტურულ-სპორტული ღონისძიებების სტატისტიკა.

უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამატებით დოკუმენტებს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ, საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

დაწესებულებისგან მიღებული იქნა არგუმენტირებული პასუხი და თანდართული დოკუმენტაცია აკრედიტაციის დასკვნის პროექტის რეკომენდაციებზე, საიდანაც ირკვევა, რომ რეკომენდაციების გარკეული ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა და ეს მტკიცდება თანდართული დოკუმენტებით, თუმცა ამ მასალებში ვერ იძებნება აღნიშნული ცვლილებების შეტანის პროცედურის დამამტკიცებელი იურიდიული დოკუმეტი/ოქმი, რაც ექსპერტებს მისცემდა რეკომენდაციების მოხსნის საშუალებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია - 1.1, 2.4, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, 5.3 ქვესტანდარტები, მეტწილ შესაბამისობაშია - 1.2, 2.1, 2.2, 2.3 და 2.5 ქვესტანდარტები.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს სწავლის საფეხურის შესაბამისი ფრაზებითა და აქტიური ზმნებით.
  - რეკომენდებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა შესაბამისი რუკის სახით;
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში;

- რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;
- მიზანშეწონილია უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია;
- სასწავლო კურსი „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“ გახდეს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ სასწავლო კურსის წინაპირობა;
- სასწავლო კურსს „BUAN1030 მონაცემთა სტრუქტურების ანალიზი“ დაემატოს წინაპირობა „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“;
- სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ დაემატოს წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საუძვლები, სადაც სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3030 WEB ტექნოლოგიების საფუძვლები“ გახდეს არჩევითი;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საუძვლები Python ენაზე;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი;
- გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“;
- დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც;
- არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში ,,ადამიანური რესურსების მართვა“, ,,მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“, რისკების მენეჯმენტი“;
- სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,აკადემიური წერა“;
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით (მაგ: WEB ტექნოლოგიების საფუძვლები; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები I; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები II; მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) ;
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსების წინაპირობები და სილაბუსებში აისახოს მხოლოდ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი წინაპირობები;
- დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების („BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“, „BUAN2025 მონაცემთა ვიზუალიზაცია“, INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“) სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდები შინაარსის შესაბამისად;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის ზოგადი მიზნების სტილისტურად გადამუშავება ისე, რომ ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ბიზნესის ადმინისტრირების მნიშვნელობაზე.

- სასურველია კრედიტების მოცულობის, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა გადაისინჯოს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სასურველია, მემორანდუმების ნაწილი გადაისინჯოს და განახლდეს სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის გათვალსწინებით;
- სასურველია უსდ-მ გააძლიეროს საინფორმაციო კონსულტაციები სტუდენტებთან შემდეგ საკითხებთან მიმართებით: საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზები, გაცვლითი პროგრამები და კონფერენციები.
- სასურველია უსდ-მ გაზრდილი მოთხოვნის პერიოდში აკადემიური რეგისტრაციისას უზრუნველყოს სტუდენტური ელექტრონული პორტალის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.
- სასურველია უსდ-მ უფრო მეტი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაციფრულება მოახდინოს;
- სასურველია პროგრამის განხორციელება დაიწყოს მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალით, რომლებიც სავალდებულო სასწავლო კომპონენეტების სწავლებას განახორციელებენ;
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის მეტი აქტიურად ჩართულობა სასწავლო და აკადემიურ პროცესებში;
- სასურველია წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებულ მონაცემებში (აკადემიური და მოწვეული ლექტორების რაოდენობისა და შესაბამისად თანაფარდობის შესახებ) გაპარული მექანიკური შეცდომების (რაოდენობები არ ემთხვევა ჩვენს მიერ შესწავლილი პირადი საქმეების დოკუმენტაციას) გამოსწორება;
- სასურველია მუშაობა წარიმართოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიმართულებით;
- სასურველია შესაბამისმა დეპარტამენტებმა სრულყონ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასურველია პერსონალის გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის ნაწილში;
- სასურველი იქნება, თუ გადამოწმდება სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში არსებულ კომპიუტერებში საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირების საკითხი;
- სასურველი იქნება, თუ უსდ უფრო ინტენსიურად შეეცდება სტუდენტებში საკონსულტაციო მომსახურების გზით საბიბლიოთეკო ბაზებთან მუშაობის პოპულარიზაციას;
- სასურველი იქნება, თუ გაიზრდება მატერიალური სახით წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა;
- სასურველია პროგრამის შეფასება ხორციელდებოდეს კურსდამთავრებულების მიერ საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;

- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - დაწესებულებაში მოქმედი Startup Factory", სადაც შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარება და შემდგომში დაფინანსება მოძიება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის მისიაში ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა მიმართულია ცოდნის წარმოებისა და პიროვნების განათლებისკენ, რაშიც გულისხმობენ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. ყოველივე ამას უნივერსიტეტი ახორციელებს კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლათფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ასევე, ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პიროვნებას შემოქმედებითი, ინოვაციური და სამეწარმეო

შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების მაქსიმალური ასპარეზი ეძლევა. უნივერსიტეტს თავისი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ახორციელებს, ისევე, როგორც ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვას, საკუთარი მაგალითით წვლილი შეაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ".

შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის მიზანია ,,...კურსდამთავრებულმა

- შეძლოს ორგანიზაციის რეალურ სამყაროში არსებული სირთულეების შესაბამისი ინტერესის სფეროების კონცეპტუალიზაცია და ურთიერთდაკავშირება;
- შეძლოს მოდელზე ორიენტირებული ორგანიზაციული საინფორმაციო სისტემების დიზაინის საკითხების დამუშავება, გააზრება და შედეგების ინტერპრეტირება;
- შეძლოს ანალიტიკური პროექტებით გათვალისწინებული კვლევის იდენტიფიცირება, მათი კრიტიკულად შეფასება, გუნდური მუშაობა, საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, კვლევის ეთიკურად დაგეგმვა, დროისა და პროექტების მართვასთან დაკავშირებული კომპეტენციების გამოყენება".

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, ,,შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ინტერდისციპლინურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებზე დაყრდნობით პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალს, რომელსაც შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: ბიზნესის მართვის ანალიტიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნეს ანალიტიკოსი, ფინანსური და სტატისტიკური ანალიტიკოსი. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს ანალიტიკური ტექნიკის გამოყენების უნარი".

შესაფასებელი პროგრამის სტრქუტურა ცხადჰყოფს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას, რასაც ადასტურებს პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის 30 ECTS კრედიტის, მოწინავე ინგლისურენოვანი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები შეთავაზება, უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამებში და სხვა საერთაშორისო აქტიური ჩართულობა. პროგრამის შედგენისას განხორციელდა ანალოგ პროგრამებთან დადარება და ისე იქნა შერჩეული კომპონენტები. შესაბამისად, პროგრამა შეძლებს კადრების მომზადებას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრებისთვის. ამასთან, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯემენტის განვითარების ასოციაციასთან და ბიზნესის კოლეგიალური კოლეჯების ასოიაციასთან, რაც სხვა აქტივობებთან ერთად მოიცავს შესაფასებელი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს.

თვითშეფასების ანგარიშის თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევის დაუმუშავებელი პასუხები, თუმცა დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ხაზგასმით აღინიშნა ბიზნეს ანალიტიკის საკითხების მცოდნე სპეციალისტებზე მაღალი მოთხოვნის არსებობის შესახებ, რის საფუძველზეც მოხდა შესაფასებელი პროგრამის ინიცირება და დამუშავება.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა ინტერვიუს პროცესში. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩია, რომ პროგრამის მიზნების განმარტების ზოგადი(საწყისი) ნაწილი საჭიროებს სტილისტურ კორექტირებას; კერძოდ, მიზნებში ვკითხულობთ, რომ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა არის ,,მულტიდისციპლინარული მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს რაოდენობრივი ბიზნეს პრობლემების გადაჭრას". აღსანიშნავია, რომ პროგრამის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, დაკონკრეტებულია პროგრამის დეტალური სფერო, ამიტომ პროგრამა ერთმნიშვნელოვნად ბიზნესის ადმინისტრირების კონტექსტით/მიმართულებით განიხილება. შესაბამისად, **მოსახსნელია ,,მულტიდისციპლიარული მიმართულების" და ,,რაოდენობრივი ბიზნეს-პრობლემების" ნაწილი, ან წარმოსადგენია ისეთი კონტექსტით, რომელიც აქცენტს გააკეთებს ბიზნესის ადმინისტრირების მხარეზე.** ასევე, პროგრამის მიზნებში ვკითხულობთ, რომ ,,პროგრამაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირების და მათემატიკური მეთოდების კომბინაცია". ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **,,ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის სახით" არ უნდა განვიხილოთ ეს მოცემულობა, არამედ სახეზეა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათემატიკური მეთოდების ანალიტიკური აპარატის გაძლიერებული კომპონენტებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია: https://www.ug.edu.ge/ge/mission-vision; ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ ანალოგ პროგრამებთან შედარების ანგარიში; ○ საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითრების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა (2020 – 2027); ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამის ზოგადი მიზნების სტილისტურად გადამუშავება ისე, რომ ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ბიზნესის ადმინისტრირების მნიშვნელობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 18 პუნქტის სახით, რომელიც განაწილებულია სამ ჯგუფად:

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 7 პუნქტით

- სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე ბიზნეს ანალიტიკის ფუნდამენტური ცნებების და სასიცოცხლო ინსტრუმენტების შესახებ
- სტუდენტს აქვს პროდუქტის/მომსახურების შექმნის პროცესში მომხმარებლის გამოცდილების კვლევის მეთოდებისა და ტექნიკების სრულყოფილი ცოდნა
- სტუდენტი კრიტიკულად მსჯელობს ბიზნეს გარემოში და უშუალოდ რეალურ ბიზნეს ქეისებზე დაყრდნობით თანამედროვე სამყაროში არსებულ მონაცემთა ძირითადი სტრუქტურების შესახებ
- სტუდენტი აცნობიერებს მონაცემთა სტრუქტურების, მონაცემთა ბაზების, მონაცემთა მოპოვების, დახარისხების ტექნიკების კრიტიკულ მნიშვნელობას ბიზნესისთვის მართებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- სტუდენტს აქვს მონაცემებზე ფუნქციური ანალიზის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მონაცემების ვიზუალიზაციის, შედეგების მოდელირების შესახებ სისტემური ცოდნა
- სტუდენტს აქვს ბიზნეს-ამოცანების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური, სტატისტიკურ-ალბათური აპარატის გამოყენების სიღრმისეული ცოდნა
- სტუდენტს აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სფეროში არსებული ძირითადი მიმართულებების, შემადგენელი კომპონენტების შესახებ ცოდნა

უნარი - წარმოდგენილია 9 პუნქტით -

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია

- თანამედროვე ბიზნეს ანალიტიკის სასიცოცხლო ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად
- ორგანიზაციის რეალურ სამყაროში არსებული სირთულეების შესაბამისი ინტერესის სფეროების კონცეპტუალიზაცია და ურთიერთდაკავშირება, მოდელირების ძირითადი ტექნიკის და მეთოდების დამოუკიდებლად ახსნა კომპლექსურ სისტემებში

- მომხმარებლის საჭიროებების იდენტიფიცირება, შინაარსობრივი სტრუქტურის ახსნა, დოკუმენტირება, შეთანხმება, შეფასება და პრეზენტაცია
- სისტემის განვითარების სასიცოცხლო ციკლის ახსნა, ინფორმაციის შეგროვების მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება
- ბიზნეს პროცესების გრაფიკული აღწერილობის შექმნა/ცვლილებების შეტანა, მოდელირება; ანალიტიკური მეთოდების გამოყენება ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების დროს
- კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, ჩატარება, ანალიზი და რეპორტინგი
- ანალიტიკური მოდელების ინტერპრეტაცია და მათი ეფექტურად გამოყენება
- კომპანიის ფინანსური გარემოს ანალიზი და მიღებული შედეგების ღირებულ ინფორმაციად გარდაქმნა
- ბიზნეს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი პროცესის, პრაქტიკის შემუშავება

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - წარმოდგენილია 2 პუნქტით -

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთიკური სტანდარტებისა და პრინციპების დაცვა
- საკუთარი პროფესიული ინტერესების დამოუკიდებლად განსაზღვრა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროების გამოკვეთა

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია და უმეტესწილად მიღწევადია, თუმცა ზოგიერთი მათგანის აღწერისას გამოყენებულია ისეთი ფრაზები **(მაგ.: „ღრმა და სისტემური ცოდნა“, „კრიტიკულად მსჯელობს.. „სიღრმისეული ცოდნა“, „სიღრმისეულად მსჯელობს“),** რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე 7-ს (მაგისტრატურა). დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ აღნიშნული ფრაზების ქვეშ მოიაზრებდნენ სწავლების ხარისხის მაღალ დონეს, თუმცა დათახმდნენ ექსპერტთა ჯგუფს იმ საკითხში, რომ შესაძლებელია სტილისტურად გადამუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგები ისე, რომ არ გამოიყენონ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონის ფრაზეოლოგია.

პროგრამა შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან გასაუბრებით და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამა შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც განპირობებულია ინფორმაციულ საზოგადოებაში ბიზნესის მართვაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობასთან.

პროგრამა ახალია, თუმცა სხვა მომიჯანვე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან გასაუბებით დადასტურდა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) ჩართულობას.

პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშვებულია სწავლის

შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; თუმცა პროგრამის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობის რუკა, შესაბამისად რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა შესაბამისი რუკის სახით. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი დეტალურად აღწერს სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების გაანალიზებისა და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენების პროცესებს, თუმცა პროგრამის კურუკულუმის რუკაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი არ გვიჩვენებს თუ რა დონით ავითარებს/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ი. შესაბამისად, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; მექანიზმის გამოყენება და შეფასებების განხორციელება, კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, თუმცა არ არის განსაზღვრული, სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რა ზომები უნდა მიიღოს პროგრამამ, შესაბამისად რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები. დასტურდება სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ შემუშავებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს სწავლის საფეხურის შესაბამისი ფრაზებითა და აქტიური ზმნებით. ○ რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა შესაბამისი რუკის სახით; ○ რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში; ○ რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტში. გარდა ამისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ პირს, უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩაირიცხონ უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭირვალეა. იგი განთავსდება უსდ-ს ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება, როგორც აბიტურიენტებისათვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან. იგი ითვალისწინებს ისეთ უნარებს, ცოდნას და კომპეტენციას, რაც მნიშვნელოვანია ზემოხსენებულის დასაძლევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დასაზუსტებელია წინაპირობები კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის მესამე საგნისა (რადგან მათემატიკურ აპარატი არის გაძლიერებულად წარმოდგენილი პროგრამაში) და ინგლისური ენის დონის მიმართულებით (ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა წარმოდგენილია სასწავლო კურსებში დასაწყისიდანვე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და წარმოდგენილია იმ პროგრამებთან შედარება, რომელთა ანალოგიურადაც მოხდა ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მეტწილად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული გარდა შემდეგისა: • სასწავლო კურსი „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“ ისწავლება 4-ე სემესტრში, ხოლო მის წინაპირობას წარმოადგენს მე-5 სემესტრის საგანი „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“. ვფიქრობთ, რომ საჭიროა პირიქით, INFO3025 იყოს MATH3040-ის წინაპირობა. • სასწავლო კურსს „BUAN1030 მონაცემთა სტრუქტურების ანალიზი“ ესაჭიროება წინაპირობა „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL).“ • სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ ესაჭიროება წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საუძვლები, სადაც სტუდენტებს

შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი.

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები დეტალურად არის აღწერილი, გათვალისწინებულია სათანადო ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლება;

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია ძირითად მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუკი გათვალისწინებული იქნება შემდეგი ცვლილებები:

- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3030 WEB ტექნოლოგიების საფუძვლები“ გახდეს არჩევითი;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საუძვლები Python ენაზე;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი;
- სავალდებულო სასწავლო კურსების „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“ თემატიკებში არის გადაფარვა, შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია მათი გაერთიანება და ერთ სასწავლო კურსად ჩამოყალიბება;
- სასურველია პროგრამას დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც;
- არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში ,,ადამიანური რესურსების მართვა“, ,,მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“, რისკების მენეჯმენტი“.;
- სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,აკადემიური წერა“, რადგან ,,საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“ სავალდებულო კომპონენტის სახით არის მოცემული.

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, კურსდამთავრებული, სტუდენტი და დამსაქმებელი.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- წინაპირობების მატრიცა;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან; ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსი „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“ გახდეს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ სასწავლო კურსის წინაპირობა;
- სასწავლო კურსს „BUAN1030 მონაცემთა სტრუქტურების ანალიზი“ დაემატოს წინაპირობა „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“;
- სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ დაემატოს წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საუძვლები, სადაც სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3030 WEB ტექნოლოგიების საფუძვლები“ გახდეს არჩევითი;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საუძვლები Python ენაზე;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი;
- გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“;
- დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც;
- არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში ,,ადამიანური რესურსების მართვა“, ,,მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“, რისკების მენეჯმენტი“;
- სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,აკადემიური წერა“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (6 ECTS), აგრეთვე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა (შესაბამისად 29 და 121 საათი) არის ერთნაირი, გარდა კურსისა „BUAN4025 სტაჟირება ბიზნეს ანალიტიკოსებისთვის“ (12 ECTS). უმეტეს შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, თუმცა სასურველია კრედიტების მოცულობის, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა გადაისინჯოს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა გაზიარებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ გასაუბრების პროცესში. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, თუმცა რიგი კურსების (მაგ.: „MGMT2015 მენეჯმენტის საფუძვლები“, ,,BUAN3015 ფინანსების მენეჯმენტი“, „MGMT2210 სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ და „MGMT2211 საერთაშორისო ბიზნესი“) შედეგები ძალიან მასშტაბურია. ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა რიგ შემთხვევებში შედეგები არ არის აქტიური ზმნით ჩამოყალიბებული(მაგ: WEB ტექნოლოგიების საფუძვლები; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები I; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები II; მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.). ამასთან, დაცულია სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა, თუმცა სასწავლო კურსების უმეტესობაში აღწერილია ე.წ. „ალტერნატიული წინაპირობები“. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეს ალტერნატიული წინაპირობები განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული კურსები ისწავლება რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე. სასურველია, რომ დაკორექტირდეს სილაბუსები ისე, რომ მასში აღწერილი იყოს მხოლოდ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი წინაპირობები. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან, სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში;

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

- დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით (მაგ: WEB ტექნოლოგიების საფუძვლები; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები I; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები II; მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) ;
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსების წინაპირობები და სილაბუსებში აისახოს მხოლოდ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კრედიტების მოცულობის, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა გადაისინჯოს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და

ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართვას სათანადო პროექტებში. სილაბუსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები და სემინარები. თითოეული კურსის აღწერა სტუდენტს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორ შეფასდება იგი.
თეორიული ცოდნის გარდა, საბაკალავრო პროგრამა, ასევე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავება ხდება ცალკეული კურსის ფარგლებში. პრაქტიკული და კვლევითი უნარების გაღრმავების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს „Startup Factory", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარება და შემდგომში დაფინანსების მოძიება.
გასაუბრებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება როგორც სტუდენტური კონფერენციები, ასევე ტარდება სემინარები, რომლებსაც უძღვებიან ბიზნესის სფეროს ექსპერტები, ცნობილი სპეციალისტები, სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.
აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და დამსქმებლებთან გასაუბრებით.
დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები რიგ შემთხვევებში ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. სასურველია, მემორანდუმების ნაწილი გადაისინჯოს და განახლდეს აღნიშნული ინფორმაციის გათვალსწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მემორანდუმების ნაწილი გადაისინჯოს და განახლდეს სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის გათვალსწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დაწესებულებაში მოქმედი Startup Factory", სადაც შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარება და შემდგომში დაფინანსება მოძიება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუმცა რიგ შემთხვევებში სახეზეა კურსის შინაარსთან აცდენები. მაგალითად, სასწავლო კურსების „BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“ და „BUAN2025 მონაცემთა ვიზუალიზაცია“ სილაბუსებში არ არის ნახსენები დემონსტირების მეთოდი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ კურსებისათვის. ანალოგიურად, სასწავლო კურსის „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ სილაბუსში არ არის საუბარი გუნდური მუშაობის მეთოდზე. სწავლება-სწავლის მეთოდებს ირჩევს ლექტორი თავისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე. მათი მიზანია მაქსიმალურად ჩაერთოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. შესაბამისად სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა ლექცია, სემინარი, ზეპირსიტყვიერი და წერითი მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია და ჯგუფური მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.
რეკომენდაციები: ○ დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების („BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“, „BUAN2025 მონაცემთა ვიზუალიზაცია“, INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“) სილაბუსებში სწავლა-სწავლების

მეთოდები შინაარსის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). კომპონენტი დაძლეულად მიიჩნევა 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 20 ქულის (50%-ის) მიღება. სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა (20 ქულა), მაგრამ შუალედურ და დასკვნით შეფასებათა ერთობლიობით დაგროვებული აქვს არანაკლებ 41 ქულისა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღეში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: (A) ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი

მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შუალედური და დასკვნითი შეფასება კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავს სხვადასხვა მეთოდს ან მათ ერთობლიობას კერძოდ: ღია კითხვები, დახურული კითხვები, თემა, შემთხვევის ანალიზი, ამოცანები, რეფერატი, პროექტი, ალტერნატიული დავალება, მისი წარმოდგენა და სხვა. სტუდენტთა შეფასების სისტემა შემადგენელი კრიტერიუმებით არის გამჭირვალე და საჯარო, იგი განთავსებულია უსდ-ს ვებ გვერდზე, ამასთანავე წარმოდგენილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე სილაბუსებში. სტუდენტთა შეფასებისას ლექტორი აძლევს სტუდენტს უკუკავშირს დადებითი და უარყოფითი მხარეების, გაუმჯობესების გზების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, ისინი დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრებას. ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას უნივერსიტეტი დროულად და ადეკვატურად ახდენს. ამასთან, ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ საბაკალავრო სწავლების დებულება; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი https://my.ug.edu.ge/login; ○ ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა. მითითებულ საკითხებს საქართველოს უნივერსიტეტში ძირითადად არეგულირებს „სტუდენტურ საქმეთა დებულება“, „საბაკალავრო სწავლების დებულება“ და „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“. აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის თუ ფაკულტეტის დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე, იგი არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი

ინტერესების დაცვას. უსდ-ში არსებული ციფრული სისტემები, როგორიცაა „My UG" საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია პედაგოგთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. **ინტერვიუების პროცესში სტუდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ აკადემიური რეგისტრაციის პროცესში, რომელიც მიმდინარეობს ელექტრონულად, გაზრდილი მოთხოვნის გამო წარმოეშობათ გარკვეული სახის ტექნიკური პრობლემები, კერძოდ ვებ გვერდის მცირე დროით შეფერხება, რის გამოც შესაძლებელია ვერ მოასწრონ სასურველი საგნების არჩევა. თუმცა აქვე დასძინეს, რომ ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში უსდ-ს ადმინისტრაცია მიმართვის საფუძველზე ითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნებს.** სასურველია დაწესებულებამ აღნიშნულ პერიოდებში უზრუნველყოს ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემების ტექნიკურად გამართული და შეუფერხებელი მუშაობა. ვიზიტის მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში, რომელიც უკავშირდება საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას, რისი მიზანიცაა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

სუ-ში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო საფეხურის მიხედვით ინფორმაციის გავრცელებას, სტუდენტების მიერ წარმოდგენილი განცხადებების დამუშავებას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

საბიბლიოთეკო სისტემა მორგებულია სტუდენტთა მოთხოვნებზე და გამოირჩევა მოქნილობით. საწიგნო ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ვერსიებით. აღნიშნული სივრცე აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, რისი რაოდენობაც სრულად დამაკმაყოფილებელია. **დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კარგი იქნება თუ უფრო მეტი წიგნი გაციფრულდება,** რათა დაინტერესებულ პირებს მარტივად შეეძლოთ სასურველი ლიტერატურის დროულად და შეუფერხებლად მიღება. **საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებითა და კატალოგებით. თუმცა ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ რესპოდენტები არ ფლობენ საკმარის ცოდნას აღნიშნული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით და ძირითადად ნაშრომზე, ასევე პროექტებზე მუშაობისას იყენებენ სხვა არხებს.** სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს საინფორმაციო კონსულტაციები სტუდენტებთან აღნიშნულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ინტერვიუების დროს სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო თემებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, რისი ორგანიზებაც ძირითადად ელ. ფოსტის და ონლაინ პლატფორმა „ჩემი UG" საშუალებით ხორციელდება.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. იგი აორგანიზებს ტრენინგებს, დასაქმების ფორუმებს, უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს ზემოხსენებლ საკითხზე, როგორც სტუდენტებს, ისე

კურსდამთავრებულებს, გარდა ამისა ავრცელებს ცნობებს მიმდინარე ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე. ვიზიტის ფარგლებში დადებითად შეფასდა აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობა.

განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოაშკარავდა, რომ უსდ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნული საკითხის ფინანსური მხარდაჭერა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დაწესებულების ბიუჯეტში. საქართველოს უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით: კულტურის, სპორტის, და სხვა აქტივობები, რომელზეც ცნობები ძირითადად ვრცელდება ელექტრონულ პორტალზე. **აქტიურად ეწყობა სამეცნიერო კომფერენციები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სამეცნიერო/კვლევითი აქტივობები, ტრენინგ-სემინარები, საჯარო ლექციები, დისკუსიები. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ვიზიტის ფარგლებში, გამოიკვეთა სტუდენტთა დაბალი ჩართულობა ზემოხსენებულ პროცესებში.** სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა მიმართოს სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად მსგავს ღონისძიებებში. სუ-ში ფუნქციონირებს მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც მიმართულია სტარტაპების განვითარებაზე, აგრეთვე გენერირებული კრეატიული პრექტებისთვის საჭირო დაფინანსების მოძიებასა და განხორციელებაზე.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ერასმუს +, ასევე ევროპის ცალკეულ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მოემორანდუმების საფუძველზე გაცვლითი პროგრამებით. **ვიზიტის პროცესში გამაშკარავდა, რომ სტუდენტები ფლობენ გარკვეულ ცოდნას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პროცედურებზე, თუმცა დიდ უმრავლესობას არ უსარგებლია გაცვლითი პროგრამებით, რის მიზეზადაც ძირითადად დასახელდა სურვილის არ ქონა.** უმჯობესი იქნება უსდ-მ გააძლიეროს საინფორმაციო კონსულტაციები მოცემული მიმართულებით, ხელი შეუწყოს სტუდენტთა ინტერესის გაღვივებასა და შესაბამისად მათი ჩართულობის გაზრდას.

საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, კერძოდ, საინფორმაციო დაფებს, ელექტრონულ მეილების, ვებ-გვერდს, სტუდენტურ პორტალს.

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები იგი რეგულირდება "საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებით". ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე ძირითადად ვრცელდება ელ. ფოსტის, სტუდენტური პორტალისა და სკოლის ასისტენტების მეშვეობით.

მოცემული ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. არსებულ საკითხს არეგულირებს „საბაკალავრო სწავლების დებულება".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება;
- სტუდენტურ საქმეთა დებულება;
- საბაკალავრო სწავლების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ღირსების კოდექსი;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი და ბიუჯეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge
- საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი https://my.ug.edu.ge/login
- სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- სტუდენტთა კვლევის ანგარიში;
- სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა;
- ფოკუს ჯგუფთან შეხვედრის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ გააძლიეროს საინფორმაციო კონსულტაციები სტუდენტებთან შემდეგ საკითხებთან მიმართებით: საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზები, გაცვლითი პროგრამები და კონფერენციები.
- სასურველია უსდ-მ გაზრდილი მოთხოვნის პერიოდში აკადემიური რეგისტრაციისას უზრუნველყოს სტუდენტური ელექტრონული პორტალის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.
- სასურველია უსდ-მ უფრო მეტი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაციფრულება მოახდინოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალის მართვის ზოგადი წესები და პრინციპები გაწერილია საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებაში: ug.edu.ge/storage/documentations/December2021/PgNaxTQYjHFpwyOnuihX.pdf სწორედ ზემოაღნიშნული დებულების თანახმად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა და ჩართვა პროგრამაში. კერძოდ, აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით; ხოლო პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე მოწვეული პერსონალის კანდიდატურის მოძიებას და მათი სამსახურში აყვანის ინიცირებას შესაბამისი დეპარტამენტის უფროსთან/სკოლის დირექტორთან შეთანხმებით ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი. უსდ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართული რამდენიმე პერსონალის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები, თუმცა საქართველოს უნივერსიტეტის **პერსონალის დებულების** მე-7 თავის (აკადემიური და სამეცნიერო თანმდებობის დაკავების წესი) 4.7. პუნქტის თანახმად: 4.7. აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს <u>**აკადემიური ხარისხის არმქონე**</u>, თუმცა პროფესიული ნიშნით კვალიფიციურმა პირმა <u>**თუ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციებით**</u>. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია: • პრაქტიკული მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება; • ლექტორად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება;

• დარგის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი;

• გარკვეული მიმართულებით უნიკალური ცოდნა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (რეზიუმე, განათლების, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, თუმცა რამოდენიმე შემთხვევაში აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რეზიუმეებში ვერ მოვიძიეთ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა) და/ან პრაქტიკული პროექტის შესახებ ინფორმაცია.

მოწვეულ პერსონალს გააჩნია კერძო ბიზნესსა თუ საჯარო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე, დასტურდება მათი აკადემიური საქმიანობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 35 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: 15 აკადემიური (მათ შორის 5 პროფესორი და 8 ასოცირებული პროფესორი) და 20 მოწვეული პერსონალი. ამგვარად პროგრამის განმახორციელებელი პირებიდან 43% აკადემიური პერსონალია, ხოლო 57% მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათ შორის სავალდებულო საგნების მიხედვით და აფილირების მიხედვით, მაჩვენებელი მოცემულია ქვემოთ ცხრილზე:

წოდება	აკადემიური ხარისხი	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	პროგრამაში ჩართული პირი				სულ:
			ძირითადი სწავლის სფეროს (დარგი) შესაბამის სასწავლო კურსებს უძღვება		არა ძირითადი სწავლის სფეროს (დარგი) შესაბამის სასწავლო კურსებს უძღვება		
			პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი	პერსონალი	მათ შორის, აფილირებული პერსონალი	
პროფესორი	დარგობრივი დოქტორი	3	3	3	0	0	5
	არადარგობრივი დოქტორი	1	0	0	1	1	
	დარგობრივი დოქტორანტი	1	1	1	0	0	
ასოცირებული პროფესორი	დოქტორი	7	5	5	2	1	10
	მაგისტრი	1	0	0	1	1	
	ბაკალავრი	2	0	0	2	2	
მოწვეული ლექტორი	დოქტორი	2	1	0	1	0	20
	დოქტორანტი	1	1	0	0	0	
	მაგისტრი	15	10	0	5	0	
	ბაკალავრი	2	1	0	1	0	
სულ:		35	22	9	13	5	35

აქვე აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამაში სულ სავალდებულო საგნების რაოდენობაა 29, რომლიდანაც 20 სავალდებულო საგანს უძღვება 14 მოწვეული ლექტორი,

ხოლო დანარჩენ 9 სავალდებულო საგანს უძღვება 3 აფილირებული პროფესორი და 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (35-ე გვერდი) დაწესებულება მიიჩნევს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის არსებული მდგომარეობა პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს და არ საჭიროებს გაუმჯობესებას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, თუმცა პროგრამის განხორციელებაში აქტიურად ჩართულია ერთი ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით გასაუმჯობესებელია როგორც ძირითად სავალდებულო კურსებში აკადემიური პერსონალის ჩართულობა (მათი რაოდენობის ზრდა პროგრამაში), აგრეთვე პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მეტი აქტიურად ჩართულობა სასწავლო და აკადემიურ პროცესებში.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებული მონაცემები აკადემიური და მოწვეული ლექტორების რაოდენობისა და შესაბამისად თანაფარდობის შესახებ შეიცავს სავარაუდოდ **მექანიკურ შეცდომებს (რაოდენობები არ ემთხვევა ჩვენს მიერ შესწავლილი პირადი საქმეების დოკუმენტაციას)**.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი, რომელიც გაწერილია საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებაში. უნივერსიტეტში სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალი დასაქმებულია კვირაში 40 საათი (ყოველდღიურად 8 საათი), ნაწილობრივ განაკვეთზე კი დასაქმებულია საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების პრინციპით. ნაწილობრივი განაკვეთით დასაქმებულ პირზე ვრცელდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა მისი დატვირთვის პროპორციულად. სასწავლო დატვირთვის გარდა ის ვალდებულია გამოყოს ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები (ყოველკვირეულად მოიცავს მინიმუმ ორ საათს) და სკოლის დირექტორთან/დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ღონისძიებებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა ლექტორი მზად არის სტუდენტებს ჩაუნიშნოს დამატებითი საკონსულტაციო საათები საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დებულება (ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba-full/101), რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის (აკადემიური დეკანის) დანიშვნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები.

ზემოაღნიშნული დებულების თანახმად საქართველოს უნივერსიტეტში აკადემიური კუთხით ყველა პროგრამის მართვას და განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი). პროგრამის ხელმძღვანელის (აკადემიური დეკანი) კანდიდატურა დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ და შესაბამისად იგი ექვემდებარება დეპარტამენტის უფროსს. ახალი თანამშრომლის აყვანა ხდება პერსონალის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამას ხელმძღვანელობს 2 პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი და მოწვეული ლექტორი, რომლებიც ამავე სასწავლო პროგრამის ფარგლებში უძღვებიან რამდენიმე საგანს. პროგრამის ხელმძღვანელების

პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი როგორც პრაქტიკული გამოცდილება ბიზნეს ანალიტიკის სფეროში, ასევე სამეცნიერო კვლევების მიმართულებით.

სასწავლო პროგრამის განხორციელებაში სტუდენტთა მომსახურების მიზნით აქტიურად არის ჩართული 250-მდე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი მეშვეობით სტუდენტები და ლექტორები უზრუნველყოფილი არიან ისეთი სამსახურებით როგორებიცაა: ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, ფინანსური სამსახური, კანცელარია, სწავლების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერისტეტის HR პოლიტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადამიანური კაპიტალის სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, იურიდიულ სამსახურში, IT სამსახურში და ა.შ. პერსონალის უდიდეს ნაწილს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განხორციელება დაიწყოს მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალით, რომლებიც სავალდებულო სასწავლო კომპონენეტების სწავლებას განახორციელებენ;
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის მეტი აქტიურად ჩართულობა სასწავლო და აკადემიურ პროცესებში;
- სასურველია წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებულ მონაცემებში (აკადემიური და მოწვეული ლექტორების რაოდენობისა და შესაბამისად თანაფარდობის შესახებ) გაპარული მექანიკური შეცდომების (რაოდენობები არ ემთხვევა ჩვენს მიერ შესწავლილი პირადი საქმეების დოკუმენტაციას) გამოსწორება;
- სასურველია მუშაობა წარიმართოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიმართულებით;
- სასურველია შესაბამისმა დეპარტამენტებმა სრულყონ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი პერიოდულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგს (შეფასება და შედეგების ანალიზი). პროგრამაში ჩართული პერონალის შეფასების კომისია შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისგან. მუდმივი წევრები არიან უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური კაპიტალის სამსახურის წარმომადგენლები. თანამშრომლის შეფასების კომისიის სპეციალური წევრების მოწვევა ხდება უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით. პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება ასევე სტუდენტიების გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის საფუძველზე ხდება ლექტორების საქმიანობის უკუკავშირის მიღება და შესაბამისი რეაგირება. აღნიშნული შედეგების განხილვა ხდება კომისიაზე. პროგრამის მოწვეული პერსონალისთვის 2021 წლის დეკემბერში Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ჩაატარდა ტრენინგი სილაბუსის შექმნის ტექნიკებზე. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა საქართველოს უნივერსიტეტში უცხო ენის სასწავლო კურსი უფასოა პედაგოგებისთვის. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის, კონფერენციებში მონაწილეების და სხვა სამეცნიერო აქტივობების როგორც თანადაფინანსებას ასევე სრულ ფინანსურ მხარდაჭერას. პერსონალი ინფორმირებულია

მათი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების შესახებ. საქართველოს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების საფუძველზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზნებს წარმოადგენს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდინაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინაცია;
- უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შესაბამისად აღნიშნული ინსტიტუტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს:

- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
- ✓ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალის მობილობის ხელშეწყობა (საზღვარგარეთ ლექცია-სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა), სამეცნიერო მივლინებების დაგეგმვა, ინიცირება, მათი დაფინანსების წინადადებების წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულებისათვის;
- ✓ უნივერსიტეტის ერთეულების მიერ/მათი მონაწილეობით შექმნილი სახელმძღვანელოების გამოცემის მიზანშეწონილობის/საჭიროების საკითხის განხილვა და მათი გამოცემის ინიცირება/ვიზირება;
- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების განსაზღვრა.

სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, აღნიშნული ინსტიტუტის ბიუჯეტიდან გაიცემა პრემია, რომლის მისაღებად აუცილებელი წინაპირობები გაწერილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების №1 დანართში.

გასაუბრებიდან როგორც გაირკვა მოწვეულ ლექტორები პასიურად მონაწილეობენ აკადემიურ გაცვლით პროგრამებში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველი იქნება მათი მეტად გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული

დოკუმენტები; ○ პერსონალის დებულება; ○ სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გამოქვეყნებული შრომები, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პერსონალის გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირება და პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება ხორციელდება ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსში (მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი). საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიები,

კომპიუტერული კლასები, საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა.
უსდ-ში მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ პროგრამისთვის განკუთვნილ კომპიუტერულ აუდიტორიაში ერთ-ერთ კოპიუტერში არ იყო დაინსტალირებული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული პროგრამა შეძენილი იყო უსდ-ს მიერ. ექსპერტთა აზრით, სასურველი იქნება, თუ გადამოწმდება სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში არსებულ კომპიუტერებში საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირების საკითხი.
პრაქტიკული, კვლევითი და მეწარმული უნარების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს ინოვაციების ცენტრი ე.წ. „Startup Factory". იგი მოიცავს თანამედროვე სტანდარტების მყუდრო გარემოს სამუშაო და საქმიანი შეხვედრებისთვის, რომელიც ფუნქციონირებს 24/7-ზე. მასში შესაძლებელია 40-მდე ადამიანის განთავსება; Startup Factory მუდმივად ატარებს შეხვედრებს, Startup Talk-ებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინოვაციების ცენტრში არსებული მატერიალური რესურსებით (საერთო სამუშაო სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობა, წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე: ვიდეო ლექციები, ჩანაწერები, ონალინ ლიტერატურა).
პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან (ბაზები მითითებულია საიტზევე). სტუდენტებს და პერსონალს აქვთ წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან: HINARI, Cochranelibrary, Scopus, EBSCO, JSTOR, Science Direct და Hein Online. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: ug.edu.ge/library. ბიბლიოთეკაში დაცულია სილაბუსებში მითითებული, როგორც აუცილებელი, ასევე დამხმარე ლიტერატურის წიგნადი ფონდი. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ისინი ნაკლებად სარგებლობენ საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკებით, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება იყოს მათი ნაკლებად ინფორმირებულობა. შესაბამისად ექსპერთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველი იქნება, თუ უსდ უფრო ინტენსიურად შეეცდება საკონსულტაციო მომსახურების გზით საბიბლიოთეკო ბაზებთან მუშაობის პოპულარიზაციას.
ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ერთ შემთხვევაში ადგილზე ფიზიკურად მოიპოვებოდა მხოლოდ ერთი წიგნი, რომელიც არ მოიპოვებოდა ელექტრონული სახით. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველი იქნება, თუ გაიზრდება ასეთ შემთხვევებში წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა.
უნივერსიტეტი ახორციელებს სამედიცინო დახმარებას, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს სამედიცინო და სადაზღვევო სამსახური.
უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას სამსახური იყენებს სამეთვალყურეო კამერებს, თანამშრომლობს დაცვის პოლიციასთან. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობისა და საუნივერსიტეტო ინვენტარის დაცვას, უცხო პირთა შემოსვლის კონტროლს უნივერსიტეტის შენობაში, სტუდენტთა უნივერსიტეტში შემოსვლისა და უნივერსიტეტიდან გასვლის კონტროლს საშვების საშუალებით,

უნივერსიტეტში ვიზიტორების შემოსვლისა და გასვლის კონტროლს.
უსდ-ს შექმნილი აქვს სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების გასწორების ელექტრონული სისტემა, რომელშიც დაშიფრულად აიტვირთება სტუდენტების დასკანერებული ნამუშევრები, რის შემდეგაც ლექტორები კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ასწორებენ საგამოცდო ნამუშევრებს, რის საფუძველზეც დგინდება საერთო შედეგი, რომელიც ელექტრონულად აისახება სტუდენტის პერსონალურ საინფორმაციო პორტალზე. ადმინისტრაციას საშუალება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს რამდენად გულისხმიერად და ყურადღებით ასწორებს ნამუშევრებს თითოეული ლექტორი.
საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის დახმარებითაც ხდება სტუდენტთა ინფორმირებულობა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. კერძოდ, სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია მათ პირად გვერდზე (ელექტონული სერვისების სისტემა, ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“ (იხ. ლინკი: my.ug.edu.ge/login). იგი წარმოადგენს სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გამარტივებულ ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო პორტალი იძლევა როგორც ადმინისტრაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და ა.შ.) მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვის (კომპონენტზე აკადემიური რეგისტრაცია, ნაშრომების ატვირთვა, ლექტორისგან სასწავლო მასალების მიღება და ა.შ.) და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის (კონფერენციები, ღონისძიებები, სტუდენტური კლუბები და მათი აქტივობები) მიღების საშუალებას.
უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და „ჩემი UG“ სიახლეებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადგილზე დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, თუ გადამოწმდება სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში არსებულ კომპიუტერებში საჭირო პროგრამული

უზრუნველყოფის ინსტალირების საკითხი; ○ სასურველი იქნება, თუ უსდ უფრო ინტენსიურად შეეცდება სტუდენტებში საკონსულტაციო მომსახურების გზით საბიბლიოთეკო ბაზებთან მუშაობის პოპულარიზაციას; ○ სასურველი იქნება, თუ გაიზრდება მატერიალური სახით წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გასაუბრებაზე ექსპერტთა ჯგუფს დაუდასტურეს, რომ სკოლის დირექტორი და პროგრამის ხელმძღვანელები გეგმავენ სასწავლო პროგრამის ბიუჯეტს. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. კერძოდ, აღნიშნული პროგრამის წლიური საფასური განსაზღვრულია სტუდენტზე 6000 ლარით, ხოლო უსდ გეგმავს 30 სტუდენტის ადგილის გამოცხადებას, საიდანაც ვარაუდობს 80%-ის შევსებას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების და პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობები ფინანსდება დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდანაც. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და მოიცავს მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და

სხვ. პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს: ● სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს; ● სალექციო საათების ანაზღაურებას; ● სწავლების პროცესში საჭირო სასწავლო რესურსების და მასალების დანახარჯებს; ● PR და მარკეტინგის ხარჯები; ● ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ხარჯს; ● ოფისის მარაგების ხარჯს; ● პრაქტიკული კომპონენტების ხარჯებს; ● პერსონალის განვითარების ხარჯებს; ● სხვა ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N51/20 ოქმით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დებულების“ და „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის“ საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც

გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში. როგორც სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ისე ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში ჩამოყალიბებული „საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო“ ასრულებს. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში. ისინი იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს, რაც დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით და შესაბამისი ანაგარიშის ოქმებით. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით შპს საქართველოს უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას.
პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. თუმცა იმის გათვალისწინებით რომ პროგრამა ახალია და ამვდროულად წარმოადგენს სიახლეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის ჩართულობით.
ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის შეფასება თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის საჭირო კომპედენციებისა და უნარების კვლევის კუთხით.
შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის შეფასება ხორციელდებოდეს კურსდამთავრებულების მიერ საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა „Online UG" ელექტრონული სისტემის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი.

მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.
ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.
პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა პროგრამის აკდემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა აღნიშნულ პროცესში ჩართულობის მზაობა.
პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.
უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. თუმცა აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ცალკეული ინფორმაცია აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშები; შესაბამისად აუცილებელია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც

დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; ○ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; ○ სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნეს ანლიტიკა, საბაკალავრო საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა

მიხეილ რუხაია

ილია ბოცვაძე

ბექა მარუაშვილი

ზურაბ ჯანხოთელი